ᲙᲕᲘᲠᲐ 10 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ 1916 Წ. ᲤᲐᲡᲘ 12 ᲙᲐ�პ.

რედაქციის ადრესი: თბილისი, ოლღას ქუჩა № 6.

1916 б.

ᲔᲨᲛᲐᲯᲘᲠ ᲛᲐᲗᲠᲐᲮᲘ

ᲘᲣᲛᲝᲠᲘᲡᲢ. ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ

№ 2

ᲨᲘᲛᲝ ᲛᲔᲠᲕᲘᲛᲔᲚᲘ

Библиотека-Музей имени Акад. И. Грузинского Академии наук
5686



შიო მღვიმელი.

ჩვენ—ქართველნი ვართ და არც ერთი რამ ქართველური უცხო არ არის ჩვენთვის.

უაღრესათ დამახასიათებელი ჩვენი ქართველური თვისება არის:

— გვაქვს და არა გვაქვს.

ჩვენა გვაქვს ჩვენი ენა, მდიდარი, მოქნილი, ფერად მრავალი და მკვეთრი, ენა „ქართლის ცხოვრებისა“, „ვეფხის ტყაოსნისა“, ქართული „დაბადებისა“...

და ჩვენ მაინც არა გვაქვს ჩვენი ენა, რადგან დღეს, რამდენი ქართველი მწერალიცაა, იმდენი ქართული ენაა, იმდენი თავისებური საგრამატიკო წესი და კანონია, იმდენი ლექსიკური თავისებურობაა.

ჩვენა გვაქვს ჩვენი ისტორია—ძველის ძველი, ძველი, საშუალო და ახალი—ისტორია, რომლის მრავალი ფურცელი იქნებ არა ნაკლებ წარმტაცი და საყურადღებო იყოს, ვიდრე სხვა რომლისამე კულტურულ ერის ისტორიის ფურცლები...

და ჩვენ მაინც არა გვაქვს ჩვენი ისტორია, რადგან ის საყურადღებო გაცრცვნილა და განიავებულა და არავინ არის, რომ აკრიფოს, შეაგროვოს და აკინძოს.

ჩვენა გვაქვს ჩვენი ხელოვნება—მუსიკა, მხატვრობა და ხურთმოძღვრება-- და ჩვენი ხელოვნების ნაწარმოები არც ისე უმნიშვნელოა, რომ გვერდი აუარო და ზედაც არ შეხედო, ან თუ შეხედო, წამსვე თვალი მოაშორო...

მაგრამ ყოველივე ეს წარსულს ეკუთვნის და დღეს ჩვენ ძველ ხელოვანთ არა ჰყავთ მემკვიდრენი და ჭირისუფალნი, რომ ღირსეულათ განაგრძობდენ მათ შემოქმედებას და თავისი წვლილიც შეჰქონდესთ ნაანდერძევ სალაროში. მაშ დღეს არც ხელოვნება გვაქვს.

ჩვენა გვაქვს ჩვენი თეატრი: გვყავს მსახიობნი, რომელნიც წარმოდგენებს მართავენ და ხალხი, რომელიც ამ წარმოდგენებს ესწრება...

მაგრამ ჩვენ მაინც არა გვაქვს თეატრი, რადგან ჩვენ „თეატრს“ არც შინაარსი აქვს გარკვეული და ნათელი და არც გარეკანი სახე და ჩვენს მსახიობთ არც სათანადო შკოლა და არც ცოდნა გააჩნიათ...

ასევე ითქმის ჩვენს მწერლებზედაც—პოეზიაზე, ბელეტრისტულ ლიტერატურაზე, პუბლიცისტიკაზე—და აგრეთვე ყველა სხვა დარგზე ჩვენი კულტურისა.

ერთი სიტყვით—გვაქვს და არა გვაქვს კულტურა.

ჩვენზე ზედ გამოჭრილია ის სტერეოტიპული თქმა, რომლითაც ზღაპრებს ვიწყებთ ხოლმე: იყო და არა იყო რა.

ჩვენ ვართ „იყო და არა იყო რა ხალხი“.

და ეს დახასიათება განა მარტო ჩვენს სულიერსა და გონებრივ ცხოვრებას ეფარდება?

ვერც ერთი მხარე ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრებისა ამ ფორმულას ვერ გაექცევა.

ჩვენ შეგვიძლია ერთი რამ ვინუგეშოთ:

— მართალია ჩვენ „იყო და არა იყო-რა ხალხი“ ვართ და ჯერჯერობით არა გვაქვს გარკვეულ ყალიბში ჩამოსხმული კულტურული ღირებულებანი, მაგრამ ისიც ხომ აშკარაა, რომ ჩვენ მხოლოდ ვიწყებთ განახლებულ კულტურულ ცხოვრებას და მხოლოდ ახლა ვქმნით ფრთხილათ და ნელა ყოველსავე იმას, რაც მასალათ უნდა მოხმარდეს და საძირკვლათ ჩაეყაროს ჩვენს გონებრივსა და სულიერ შენობას.

მაგრამ ვაი, რომ გვიპასუხონ:

— როგორ უნდა ააგოთ თქვენ ის შენობა, თუ კი არც ერთ სავარგის მასალას არ არჩევთ და ცალკე არ ინახავთ, ფასს არა სდებთ და მიგდებული გაქვთ.—

და მრავალ სხვა მაგალითებთან თუნდ შიო მღვიმელის მაგალითი წამოგვიყენონ.

მაშინ ჩვენ, რა თქმა უნდა, ვერაფერს ვუპასუხებთ და თავს ვერ ვიმართლებთ, მაგრამ არც გავწითლდებით, როგორც არ გავწითლებულვართ ხოლმე, როდესაც ასეთივე საყვედურით მოუმართავს ჩვენთვის სინიდისს—აკაკის, ვაჟას, ჭოლა ლომთათიძის და სხვათა სიცოცხლის დროს...

გულში კი გავიფიქრებთ:

— უმაწვილო, რა გვაჩქარებს? განა შიო მღვიმელი ჩვენ ხელთ არ არის? სად გაგვექცევა? სადაც აკაკი და ვაჟა ვერ გაექცა სიკვდილს, შიო მათუსალა ხომ არ არის, რომ მთვარეს შეაბერდეს და ცოცხლივ ცას აეკრას... მოითმინე, აი მოკვდება და ნახავ, თუ ვერ გამოვარჩევთ და ვერ დავაფასებთ!

და ჩვენ ნერწყვიც კი მოგვადგება, ოცნებას რომ გავშლით და შიოს დაკრძალვას წინასწარ წარმოვიდგენთ:

— წინ მიდიან ანგელოსებათ გამოწყობილი

ფრთოსანი ბავშვები და ია-ვარდს უფენენ გზაზე. შემდეგ ბავშვებისავე მგალობელი გუნდი. მერე ცხედარი. ცხედარს უკან მისდევს სამგლოვიაროთ შემოსილი სამი პატარა ქალი, რომელთაც ხელში სიმებ დაწყვეტილი ქნარი უჭირავთ...

მაგრამ, უკაცრავათ: თქვენ იქნებ ვერც კი იცნობთ შიო მღვიმელს?

მართლაც-და, რა გასაკვირველია, შიო მღვიმელს ვერ იცნობდეთ!

მე სულ დამავიწყდა, რომ თქვენ დიდები ბრძანდებით, დარბაისელნი და ღრმათ მოაზროვნენი და ალბათ სათაკილოთაც კი მიგაჩნიათ შიო მღვიმელის ცნობა.

თუ ასეა, უმორჩილესათ გთხოვთ, გაისარჯეთ და თქვენ პატარა ბავშვს ჰკითხეთ, ვინ არის შიო მღვიმელი.

რაო? ვერ გიპასუხათ? ჯერ ქართული კითხვა არ იცის?

რა გაეწყობა! ისევ მე უნდა გაგიცხადოთ მისი ვინაობა.

შიო მღვიმელი ბავშვების პოეტი გახლავთ, ბავშვების რჩეული პოეტი, მათი სათუთი გულის ნამდვილი მესაიდუმლე.

ვისაც ბავშვობისას მოსწრებია მისი ლექსებისა და პოემების კითხვა, კარგათ ეხსომება ის წუთები, მაშინ რომ განუცდია გიგასთან, თამროსთან, ვანოსთან და მრავალ სხვა პატარა გმირებთან ერთათ.

შიოს დაუფასებელი ღირსება ის არის, რომ საუცხოოთ იცნობს პატარა ადამიანის ნაზი გულის ყველა კუნჭულს და ყოველსავე მოძრაობას, იცის რა საშვალებით ააფეთქოს ეს გული, როგორ გარინდოს, როგორ აათრთოლოს.

შიოს შემოქმედება ისეთივე გულწრფელი, ბუნებრივი, ძალადაუტანებელი და ნაზია, როგორც თვით ბავშვი და ამიტომაცაა რომ ეგრე რიგათ უყვართ პატარებს თავიანთი პოეტი.

ბავშვებს ხშირათ ყვავილებს ადარებენ. მაშინ შიო ნამდვილი ხელოვანი მებაღეა და მისი მოვლა, მორწყვა და მარგვლა, მისი შემოქმედება, ხშირათ მზისა და შხაპუნა წვიმის მაგიერობას უწევენ ფერად ყვავილებს:

შიოს პოეზია მარგლავს ბალღების გრძნობას, რწყავს და ზრდის მათი სულის კეთილ მოძრაობას და ისე გადაფურჩქნავს და გაშლის ხოლმე სიხარულითა და წრფელი მხიარულებით მათ გულს, როგორც მზის სხივი კოკორს.

30 წელიწადია — ეს კეთილი და ოსტატი მებაღე სიყვარულით თავს დასტრიალებს თავის ძვირფას ყვავილებს და ამ დღეებში ქართველი საზოგადოება საგანგებო დღესასწაულით მადლობის გადახდას უპირებს მას.

მაგრამ ეს დღესასწაული იმდენათ შიოსი არ იქნება, რამდენათაც ჩვენი ბავშვებისა.

შიოს პოეზია ყველა ქერთველი ბავშვის გულის დამატკბობელი და გამხარებელია.

ვეცადნეთ, რომ ამ დღესასწაულისთვის მთელი საქართველოს ბავშვებთან ერთათ შიოს ბავშვებმაც გაიხარონ...

შ. შ.

ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲨᲐᲠᲐᲓᲐ

პატარა გვრიტებო,
პატარა შაშვებო!
ამ მცირე შარადას
თქვენთვის ვსწერ, ბავშვებო!

—

მგელი რო შეგხვდებათ,
(ან პედაგოგია)
დამფთხალი რათა ხართ
იმ ჟამად ზოგია?...
აზრი რათ გნებავთ?
ან საქმის უნარი
რისაგან გიხდება
თქვენ დასაწუნარი?
ცხადია გრძნობა რამ
გულს ისადგურებსა
იმისთვის ვიბნევით
და ვცქვეტავთ ყურებსა.
ამ გრძნობას სახელი
აქვს ორ-მარცლოვანი
და ორში, რომელზეც
მიდგეს არჩევანი
თქვენ იგი აიღეთ,
ის შემოინახეთ...
(რამეთუ ორივე
ერთგვარია სახით.)

—

ახლა კი სხვა ვსძებნოთ
სიტყვა საზარელი...

დღეს მისგან ირწყვება
სისხლით მთა და ველი.
ურიცხვსა ხალხსა ნთქავს,
უზომო ქონებას...
უთვალავს გონივრულ
კარგ გამოგონებას.
დღეს უდგას ზეიმი
მას ქვეყნის პირზედა
და კვალად გვიმზადებს
იგი ჭირს ჭირზედა.
ვაი მას... დრო მოვა
მოსპობენ სრულადა...
დღეს კი თქვენ კუდს მისა
ეკვეთედ მტრულადა,
და ორი ანბანი
იქიდან ნარჩენი
მასალა იქნება
შარიდის საშენი.

—

ერთგვარი წვენია,
ერთგვარი სასმელი,
და... როცა ზედმეტათ
ჩაჰყლაპავს ქართველი,
მაშინ მას დუნია
ფეხებზე ჰკიდია,
იმისი სურვილიც
უზომოთ დიდია.
მთას წიხლით დაანგრევს
კოშკს წკიპურტებითა
აგიკლებს ტრაბახით
და თავის ქებითა...
მისგვარი ქართველი
მაშინ სხვა ძვირია
გულს ლახვრად ესობა
მამულის ჭირია...
აი, ეს სასმელი
გავყოთ შვად, წყვილადა ..
და წინა, შარადას
შევსძინოთ შვილადა.

—

თქვენ აწ ტყეს მიმართეთ...
ან კი იქ რა გინდათ?!
შორი მოგზავრობა
არც გვჭირია დიდათ.
პატარა ცხოველი
ტყეში რო დაცუცქავს,
(ბეწვიანი კუდი
ცოტათ კატას უგავს)
ქალაქშიც ბევრია
(თუმცა მარტო ტყავი
„მანდილოსნებისთვის“
მხრების მოსართავი)
მოვგლიჯოთ ამ ცხოველს
ჩვენ ბოლო ანბანი
და შარადისთვის
შევინახოთ სხვანი.

ხუროთ მოძღვრებაში
წესი გვინდა, რიგი...
ჯერ უნდა დავსწეროთ
წინ რო ვნახეთ იგი...
შემდეგ მას მეორე
ნაშთი მივადევნოთ
და მთელი შარადა
ეგრე ავაშენოთ.

—

შეხედეთ?
ვინაა?
ეს ვინ გამოვიდა??
მწერალი ძიაა,
თუ მოხუცი წმინდა??
ეს თქვენ უნდა ახსნათ,
თქვენ უფრო შეგფერის
გარჩევა იცოდეთ
მგოსანის
და ბერის.

კოლო.

მძიმე საკითხი



ქ. შ. წ. კ. გ. ს. ნეტავი ვიცოდე რომელი დასწონავს ამ ორში?

უნუგეშო მდგომარეობა.

ახლაც თვალწინ მიდგას პატივცემული დავით კარიჭაშვილი, როცა მან განმარტა წ. კ. საზოგადოების „უნუგეშო მოვალეთა“ საკითხი და სხვათა შორის სთქვა.

— ბატონებო, შიო მღვიმელის ვალში ჩვენ მისი თხზულებები დაგვრჩა...

იმ დროს მე ვამთავრები ბ-ნი იპოლიტე ვართაგავას ცხვირის მარცხენა ფერდობს და როცა ზემორე აღნიშნული სიტყვები გავიგონე უნებლიეთ გადავიტანე ჩემი თვალთხედვის ისარი ნატურშჩიკიდან ორატორზე და ალბათ ამიტომ აღიბეჭდა ჩემს მეხსიერებაში ასე ცხოვლად სურათიცა და სიტყვებიც პატივცემული თავმჯდომარისა.

— აჰაა, მაშ თქვენ არა გსურთ მოხსნათ ვალი ჩვენს ისედაც ხელმოკლე მგოსანს, თქვენ გინდათ წაართოთ მას ერთად-ერთი ნუგეში, მისი თხზულებები მეთქი, ნიშნის მოგებით ვფიქრობდი ჩემს გუნებაში და შურის ძიებად ვემზადებოდი.

სახლში დაბრუნებისათანავე აღვნიშნე ჩემს უბის წიგნში შიოს საიუბილეო ნომრისათვის ორი კარიკატურის გეგმა ამ საერთო სათაურით: **ორგვარი დაფასება.** უნდა გამოგიტყდეთ დიდ სიხარულსა და სიამოვნებას განვიცდიდი ამ გარემოებისაგან, ვინაიდან საკარიკატურო გეგმის ძებნა თითქმის უფრო მემძიმება ვიდრე თევდორე ღლონტის წერილების კითხვა.

გასული წლის 31 დეკემბერს, როცა მთელი თფილისი ახალ წელსა და ახალ ბედნიერებას ეგებებოდა, მე ძველი კალმით ხელში ჩემს საწერ მაგიდასთან ვიჯექი და თავგამოდებით ვხატავდი ჩემს კარიკატურებს. ახალი წელი მოვიდა, ძველი უკვე ისპანიაში იქნებოდა ჩასული, რომ მე უკანასკნე-

ლი ხაზები გავუსვი საუცხოვო სურათებს, ლონივრათ ამოვიფშვნიტე უძილობისაგან შეწუხებული თვალები და ავდექი. ორ სურათს აკლდა მხოლოდ ორი რიცხვი, სახელდობრ შიო მღვიმელის ვალის რაოდენობა და ეს კი კანტორაში უნდა გამეგო.

ახალ წელიწადს მშვენიერი სადილი გიახელით, ვინაიდან საუცხოვო საქმელებთან ერთად ხასიათიც ჩინებული მქონდა, ვინაიდან უჯრაში ორი მზა-მზარეული სურათი მეგულვებოდა.

2 იანვარს დილით ვეწვიე გამგეობის კანცელარიას, სადაც მდივანი გამგეობისა უწყებებს გამალებით ხელს აწერდა. მივულოცეთ ერთმანეთს ბედნიერი დღე და მე პირდაპირ საქმეზე გადაველ.

— ვარლამ, ერთი გამაგებინე, გენაცვა, რამდენი მართებს შიო მღვიმელს წერა-კითხვის საზოგადოებისა...

— არაფერიც არა მართებს...

— ნუ კი მეხუბრები.

— რა დროს ხუმრობაა ამ ახალ წელიწადს, მაგრამ მაინც არაფერი არა მართებს.

— კარგი ერთი თუ გიყვარდე. არა მცალია, ძლიერ საჭიროა ჩემთვის ამის გაგება.

— რა ვქნა ყალბ ვექსილს ვერ შევუდგენ და ისე არაფერი არა მართებს. აი თუ გინდა ვასოსა ვკითხოთ. ვასო, მართებს რაიმე ჩვენი შიოსა?

— არაფერი. ემართა მაგრამ საზოგადო კრებამ მოუსპო ვალი ვგონებ 1910 წელში.

რაღაცამ დამკრა და თავიდან ვიდრე ფეხის ფრჩხილებამდე ჟრუანტელმა დამიარა. — როგორ? ნუ თუ მართლა აღარა მართებს შიოს წერა-კითხვის საზოგადოების?! ნუ თუ ასე დამეღუპა ჩემი მთელი ღამის შრომა? ვაი გატეხილო ძილო, დაკარგულო ქეიფო, დაღუპულო შრომავ! კარგათ აღარ მახსოვს, მაგრამ მაგონდება რომ ისევ ვარლამმა მომასულიერა პაპიროზის კვამლით და მკითხა ჩემი შეწუხების მიზეზი. მე კი ენა აღარ მემორჩილებოდა, აზრი მერეოდა წარმოიდგინეთ თვალზე ცრემლებიც მომეგუბა.

და განა მარტო უძილო ღამე, დაკარგული ქეიფი და დაღუპული შრომა იყო ჩემი მწუხარების მიზეზი? არა, არა. მე მტანჯავდა წარსულიც, მაგრამ უმეტეს მომავალი: რა ვქნა, რა დავხატო, როდისღა დავხატო...

— მიირთვით გოჭინაყი, რა ვქნა, რა დაგემართათ, ნუ თუ ისეთი ცუდი ნახელავია? მეკითხებოდა წ. კ. კანცელიარიიდან დაბრუნებულს ჩემი დიასახლისი.

მე ავიღე ერთი მოზრდილი ნაჭერი, მგონი მთელათ გადავყლაპე, რადგან არც გემო და მით უმეტეს არც სურნელება მისი არ გამიგია.

— აი საცივი გასინჯეთ. მშვენიერი გაკეთებულია.

მე მოვსტეხე ლუკმა კარგათ ამოვაწე და ის იყო უნდა ჩამეყლაპა, რომ დიასახლისი მეცა და გამომგლიჯა.

— რა ვქნა, ვის გაუგონია პურისა და გარჩიცის ჭამა. ამოდენა გარჩიცა... ხომ გული მოგწვათ და ცეცხლი გაგიჩინათ.

აღარ მახსოვს შემდეგ რა მოხდა, როგორ ან როდის გათავდა სადილი, როგორ დავბრუნდი ბინაზე. ჩემს აზრში მხოლოდ ის თავხედი საზოგადო კრება გუგუნებდა, რომელმაც ასეთი საშინელი ამბავი მომიმზადა.

— მიკვირს ღმერთმანი ახირებული საქმე კია, ველაპარაკებოდი მე ჩემს თავს, რომ ყველაფერი უბედურობა ჩემს კარზე უნდა დატრიალდეს. ბევრ უსიამოვნებას მოველოდი, მაგრამ თუ ასე მოულოდნელათ ამხელა მწუხარება გამოტყვრებოდა ეს კი აღარ მეგონა. აი თურმე სად მდარაჯობდა ბედის უკულმართობა!

ასეთ მწარე ფიქრებსა და მოუსვენრობაში გავატარე ეგ სხვათათვის ბედნიერი დღეები და წერის უნარი დამიბრუნდა მხოლოდ მაშინ, როცა სხვა ორი სურათი მოვიგონე და დავხატე.

ეშმაკი.



ძველი ამბავი

პატარა ვახტანგმა (რომელიც უკვე მეოთხე წელიწადია გიმნაზიაში სწავლობს,) როგორღაც ქართული კითხვა ისწავლა. გასაოცარი ამბავია: სად გამოატყვრინა მან ანბანი, ვისგან გაიგო რომელი მათგანი ანია, რომელი ბანი, რომელი დონი!

მართალია, კითხვის დროს პაპიროზის მაგივრათ მას ხელში მხოლოდ სპიჩკის ღერი ეჭირა და იმით იკაფავდა ანბანთა შორის გზას, მაგრამ მაინც კმაყოფილი—მადლიერი იყო და თავსაც ამაყად გრძნობდა.

და განა არა ჰქონდა პატარა ვახტანგს საამაყოთ საქმე? დიახაც რომ ჰქონდა! მის ძველ ქართულსა, და ერთ დროს სახელგანთქმული გვარის, ოჯახში ქართული ლაპარაკი მხოლოდ მოჯამაგირეებმა იცოდენ, ხოლო წერა და კითხვა არავინ.

კნიაჟნები პუტუ, ცაცა და ციბუ ქართულად ენის მობრუნებასაც ვერ ახერხებდნენ და წერა კითხვაზე ხომ ლაპარაკიც მეტია. ვახტანგის მამას, დიმიტრის, მხოლოდ სხვისი ლაპარაკი ესმოდა თითონ რამოდენიმე უცენზურო სიტყვა იცის ნამდვილი ქართული გამოთქმით, ისიც რასაკვირველია მოჯამაგირეებისათვის.

ამ პირობებში გიმნაზისტმა ვახტანგმა საიდანაც იყო ქართული წერა-კითხვა ისწავლა. პირველათ რასაკვირველია „არსენას ლექსი“ ჩაუვარდა ხელში და სიამოვნებით გადაიკითხა რამოდენიმეჯერ. წარმოიდგინეთ უმეტესი ნაწილი ამ საუცხოვო პოემისა ვახტანგმა თითქმის ზეპირად ისწავლა და როცა სახლში თავისიანებს უკითხავდა ხოლმე, იმისი ხმა ისე გაისმოდა, როგორც „ხმა მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“.

ვის არ მოეხსენება სიმდიდრე ქართული საბავშვო ლიტერატურისა!! არა მგონია იყოს ქვეყანაზე სხვა ერი, რომელსაც ამ მხრივ შეეძლოს ჩვენთან შეჯიბრება. არც ერთ ნაციას არა აქვს, მაგალითად, საბავშვო ყოველდღიური გაზეთი, თუნდაც აი ისეთი, როგორიც ჩვენი „საქართველოა“.

მაგრამ ასეთ მწვერვალს ჩვენმა ერმა ამ უკანასკნელ წლებში მიაღწია; მიაღწია იმიტომ რომ ქართული ენა უკვე ცნობილია ჩვენს ენათ და გიმნაზიის დაბალ კლასებში მაღალი ცოდნით აღჭურვილი ქართველნი თითონ ასწავლიან ქართულ ანაბანას.

იმ დროს კი, რომელსაც ჩვენი ამბავი შეეხება, საქმე სხვაგვარად იყო. და აი, როცა პატარა ვახტანგი გატაცებით კითხულობდა რაღაცა ქართულ ლექსს, თავს მოულოდნელათ ლათინური ენის მასწავლებელი, ნიკიფორ ივანიჩი წაადგა,

ძველი ისტორიიდან



— შენ ეგ რასა კითხულობ ჩიპურტანიძევ, ა?

ენით გამოუთქმელსა და კალმით აუწერელ მდგომარეობაში ჩავარდა პატარა მკითხველი. მან ქალალდი ზურგთ უკან ამოიფარა, მაგრამ დაკვირვებული მასწავლებლის თვალს განა რამე გამოეპარებოდა?

— ეგ რასა კითხულობ ჩიპურტანიძევ?!

— ?!!

— არ გესმის? რასა კითხულობ მეთქი?

— ქართული ლექსია შიო მღვიმელისა, ბატონო მასწავლებელო...

— აჰაა! შენ, გოჭო*), ლათინურ ენაში სამი გაქვს და აქ რაღაცა ქართულები მოგიწყია. კარგი, კარგი...

ლაპარაკი ამით გათავდა, მაგრამ ინცინდენტი უფრო ტრაგიკული გამოდგა და პატარა ვახტანგმა რამოდენიმე საათი დაჰყო ბნელს ოთახში უსადილოთ. ამასთანავე ვახტანგის საქციელი მოხსენდა მის მშობლებსაც. მამამ ერთი ორი კიდევაც უთავაზა ქართული ჩვეულების მიხედვით და სასტიკათ აუკრძალა შვილს სისულელეების ჩადენა.

არავინ იცის სად, ან რა პირობებში ცხოვრობს დღეს ვახტანგ ჩიპურტანიძე, მაგრამ თუ მოესწრო დღევანდელ დღეს, შიო მღვიმელის 30 წლის იუბილე უთუოდ მოაგონებს მას ამ პატარა შემთხვევას, ხოლო აქ საილუსტრაციოთ მოყვანილი სურათი თვალწინ დაუდგამს ნიკიფორ ივანიჩის სიმპატიურ სახეს.

მორიელი

---

*) ცხადია ეს დიალოგი რუსულ ენაზე სწარმოებდა, თორემ სატყვა „გოჭს“ ნიკიფორ ივანიჩი ასე წმინდათ ვერ გამოსთქვამდა.

ეშმაკი.

ქართული ცხოვრებიდან.

გულუბრყვილონი.

ვანო. უუჰ, რა მშვენიერი ლექსები დაუწერია ძია შიოს!!

ქეთო. ძლიერ მოგეწონა?

ვანო. უთოდ უნდა ვაყიდვინო მამას ყველანი ერთად

ქეთო. მთელი კრებული?

ვანო. ჰოოდე...

ქეთო. მერმე სად იშოვნი?

ვანო. რატომ?

ქეთო. იმიტომ რომ ძია შიო ჯერ ცოცხალია და ერთად როდი დაბეჭდავენ...

ვანო. მართლაააა? აჰ, ნეტავი ადრე მაინც მოკვდებოდეს

საათი.

(სასასწავლო მოთხრობა)

მსახიობ. ვ. აბაშიძეს სახალხო სახლის საბირეველოში საათი დაეკარგა. მნახველს ვთხოვთ რედაქციაში შემოგვიტანოთ

(გაზეთის განცხადებიდან)

არტუა ჯიბგირი, რომელსაც მეტ სახელათ არტუა ბებელს ეძახოდენ, სახალხო სახლის პარტერის მეხუთე წყებაში იჯდა და, თუმცა სცენისკენ იცქირებოდა, როგორც ყველა მაყურებელი, მაგრამ წარმოდგენა აღარ აინტერესებდა: არც ხედავდა და ვისმე და არც ესმოდა-რა.

მთელი მისი არსება რაღაც უმიზეზოსა და გამოურკვეველ უნდომობას შეეპყრო და ისეთ გუნებაზე იყო, თითქო გულში კუპრი ჰქონოდეს დაგუბებული.

სცენაზე მდგომარეობა შეიცვალა, ერთმა მსახიობმა ყვირილი დაიწყო, მეორეს ცრემლი მოერია, ვილაც ახალი შემოვიდა და ინდაურივით გაიფუყა მედიდურობისა თუ სიამაყის გამოსახატავათ და უცებ ჯიბგირის გუნებაშიც მოხდა რაღაც ცვლილება.

არტუა ბებელი კარგათ იცნობდა ამ უეცარ გრძნობას. ის გრძნობა ისეთი მწვავე და ძლიერი იყო, როგორც მოწყურებული ლოთის სურვილი, როცა ღვინის გადაკვრა მოუნდება ხოლმე, ან კიდევ პროფესიონალ დამკვრელისა, დაკვრის ნდომა რომ აიტანს მძაფრათ მის არტისტიულ ბუნებას.

არტუამ მიმოიხედა აქეთ-იქით ელვის სისწრაფით და ამ ერთ თვალის გადავლებით მთელი მეხუთე წყების მაყურებლები დაათვალიერა.

— მანთაშოვები სხედან, რაღა!—ჩაილაპარაკა მან ბრაზ-მორევით, როცა ვერავის მკერდზე ოქროს ძეწკვი ვერ შენიშნა.

შემდეგ არტუა წამოდგა, სწრაფათ გაიარა მუხლებსა და სკამებს შუა დი გზაზე გავიდა. ყოველი მისი მოძრაობა და მიხვრა-მოხვრა ისე სწორი და მიზან შეწონილი იყო, რომ ბარე 9 მაყურებლის მუხლებ წინ გაიარა და ყურადღებაც არავის მიუქცევია მისთვის.

გასასვლელ კარებს რო მიადგა, სცენიდან ქალის საშინელი კივილი მოესმა. არტუამ მოიხედა. მსახიობი ქალი მოწყვეტით დაეცა იატაკზე და ბრაგვანი მოადინა. ჯიბგირმა ირონიულათ ჩაიცინა, მითომ—ვის ატყუილებთ, შვილოსაო—და გასვლა დააპირა, მაგრამ ამ დროს ფარდა დაეშვა, მოისმა ტაშის გრიალი, უცებ მთელი დარბაზი ერთიანად განათდა და ხალხი აიშალა.

2 მოქმედება რჩებოდა კიდევ წარმოდგენის გათავებამდე. არტუა ბებელი იდგა ერთ ადგილას, კარებთან და ფიქრობდა რა გადაეწყვიტა: წასვლა თუ დარჩენა. ბოლოს მიუბრუნდა ერთ გამვლელ-თაგანს და ზრდილობიანათ ჰკითხა:

— თქვენ გეცოდინებათ, პატალსტა: აბაშიძე აღარ გამოვა სათამაშოთ?

სამშობლო ენა ქართველი ნაციონალისტის ოჯახში.

კეტუსია. მამა, ა მამა, სკაჟი ჩტო ზდეს ნაპისანო...

„მამა“ .....

კეტუსია. მამა, მამუსია, მამოჩკა, სკაჟი...

„მამა“. ოტკუდა ია მოგუ ზნატ დედოჩკა... ბროს ეე კჩორტუ...

თარგმანი.

ქეთო. დედა, დედიკო, მითხარი გენაცვალე აქ რა სწერია.

დედა.....

ქეთო დედა, დედიკო, დედილო მითხარი რა არის

დედა. აბა რა ვიცი, შვილო, რა სწერია, გადააგდე იქით...

— არა, აღარ გამოვა,—უპასუხა გამვლელმა.

მაშინ არტუამ წასვლა გადასწყვიტა. მართალია, ფული ბევრი ჰქონდა, რამოდენიმე ძვირფასი ნივთიც ჯერ გაუყიდავი ეწყო, მაგრამ მაინც „სანადიროთ“ აპირებდა წასვლას. განა მაძღარი კატა კი არ გამოუდგება ხოლმე თაგვს დასაჭერათ, გული რომ გადააყოლოს და გაერთოს?

პალტო ჩაიცვა კიდეც და ის იყო უნდა წასულიყო, რომ უეცრათ სუნაღებულ მეძებარივით შედგა და გაშეშდა.

არტუას ხელათ გაუქრა „ნადიროობის“ წყურვილი, არტუა ჯიბგირი მოკვდა მასში და სამაგიეროთ გაცოცხლდა არტუა ესთეტი, არტუა-არშიყი. ის აღტაცებით მისჩერებოდა ახალ-გაზრდა ლამაზ ქალს, რომელიც რამდენიმე კაცის ჯგუფში იდგა და ხმა მაღლა კისკისებდა ისე ლამაზათ და სასიამოთ, რომ არტუაც აჰყვა და თავისდა უნებურათ სიცილი დაიწყო.

— ვაჰ ვაჰ-ვაჰ-ვაჰ! რა მაზალო რამ არის და!.. ვა, რა მაზალო რამ არის და! — თუთიყუშივით იმეორებდა გულში გაშტერებული არტუა და თვალს არ აშორებდა ქალს.

— მოდი დავრჩე,—გაიფიქრა მან:—ჰამ ქალის ცქერითაც გავძღები, ჰამაც იმ დედალ ვანუას დავუცდი და ერთად წავალთ.

ვანუაც ჯიბგირი იყო და არტუასთან ერთად მოსულიყო წარმოდგენაზე. არტუა ბებელს არ უყვარდა მშიშარა, ხარბი და მუხანათი ვანუა, და ყოველთვის ზიზღით იხსენიებდა ხოლმე მას. ვანუას კი ეშინოდა თავზე ხელაღებული არტუასი ღა მუდამ ეტმასნებოდა, ფეხ-ქვეშ ეგებოდა და ელაქუცებოდა.

არტუამ გაიხადა პალტო და გამოუდგა ნიშანში ამოღებულ ქალს, რომელიც იმ ჯგუფს მოშორდა და ეხლა მარტო მიდიოდა ნელი ნაბიჯით.

— გოგონი-ჯან!—ეალერსებოდა გულში არტუა: შენ კი გენაცვალე მაგ ვარაყიან სახეში! განა მე შენი ვარდის ლოყების პროშტი მინდა? ნახუნაკიც*) მეყოფა, ჩემმა მზემ, ერთი ნახუნაკი!..

ლამაზმა ქალმა პარტერის კარებისკენ შეუხვია და შეჩერდა, რადგან ბევრი ხალხი შედიოდა და გზა არ იყო. არტუა დაეწია, მოტრიალდა და ისე ოსტატურათ გაიქნია მარჯვენა ხელი, რომ ზედ ლოყაზე მოახვედრა ქალს, ერთი წამით შეაჩერა, შემდეგ სწრაფათ გამოსწია, თითქო დაეწვაო, მიბრუნდა აშფოთებულ ქალისკენ და წაილუღლუღა:

— მინავათ, ბარიშნა-ჯან!

— Нахалъ!—ესროლა რუსულათ ქალმა და პარტერში შევიდა.

— მი დლია ტებია ნოსომ ზემლიუ პახალ,—რითმით უპასუხა არტუამ და რაკი „ნახუნაკით“ გული შეიჯერა, უკან გამობრუნდა. უნდოდა მეორე კარებით შესულიყო პარტერში და იქიდან ეთვალთვალებინა იმ ქალისთვის, მაგრამ მისი ყურადღება ორი კაცის ლაპარაკმა მიიპყრო და ის ქალიც დაავიწყა.

— ვასო აბაშიძეს? ჰკითხავდა ერთი.

— ჰო, კაცო, ვასო აბაშიძეს. უჯრაში ჰქონოდა შენახული. ალბათ, სცენაზე რომ იყო, მაშინ მოპარეს.—უპასუხა მეორემ.

— კარგი საათი იყო?

— კარგი იყო თუ ავი, მეტი კი არა აქვს და!

— ვინმე შინაური წაიღებდა...

არტუას სისხლი თავში აუვარდა, სასწრაფოთ შევიდა პარტერში და იქით გაიხედა, საცა ვანუა ეგულვებოდა. ვანუა არხეინათ იჯდა თავის ადგილას და გულმშვიდათ მისჩერებოდა ფარდას...

წარმოდგენა გათავდა. არტუა ბებელმა საჩქაროთ ჩაიცვა პალტო, თითქმის ყველას გაასწრო კარში და კიბის ყურეში გაჩერდა დარაჯივით. მისი ხანჯალივით ბასრი თვალები არც ერთ გამომსვლელს არ უშვებდა და გაფაციცებით ხტოდა ერთი კაციდან მეორეზე. ვანუა რომ დაინახა, უკან დაიხია, წინ გაუშვა და სული გატრუნა. ვანუა ცოტა ხნით შედგა, ირგვლივ მიმოიხედა დაკვირვებით, ალბათ არტუას ეძებდა, და რომ ვერსად დაინახა, მარტო გაუდგა გზას. არტუა ფეხ-აკრეფით დაედევნა ქუჩაში და თვალს არ აშორებდა.

ასე მისდევდა ვერის ხიდის ყურემდი. ბოლოს, რაკი ვერაფერი შეამჩნია, მოულოდნელათ სტაცა ხელი მკლავში, რკინის სალტესავით მოუჭირა და მძლავრი მოქნევით მოატრიალა. ვანუას შიშისაგან თვალთ დაუბნელდა; არტუა რომ იცნო, ცოტა გულს მოეშვა, მაგრამ მაინც დამფრთხალ ნადირივით უცქეროდა ქვეშიდან.

— ვა, არტო-ჯან, რა მოგივიდა?.. ვის გაუჯავრებიხარ, კაცო?—ლუღლუღებდა ვანუა.

— აქ წამო! მოკლეთ მოუჭრა არტუამ და კატის კნუტივით გააქანა ქუჩის ბნელი კუთხისაკენ. ბრაზისაგან სული ეხუთებოდა. ვანუა მიხვდა არტუას სულისკვეთებას და მოსაგერებლათ მოემზადა.

— მაიტა საათი! ჩურჩულით უბრძანა არტუამ, ცხვირი ცხვირთან მიუტანა და თვალი გაუყარა.

— ვა, რა საათი, არტო-ჯან?—ვითომ გაკვირვებით შეეკითხა ვანუა და ურცხვათ გაუჩერა თვალი.

— მაიტა მეთქი, ნუ ოინბაზობ!

— ვა, გიჟია? ჩემთვის საათი როდის მოგიბარებია, რომ მოგცე, კაცო?

— შენა ხარ აბაშიძის საათის ქურდი... სხვა იქ არავინ იყო... მაიტა, ჩქარა!

— ჭკვაზე მოდი და! ვინ აბაშიძე, რა საათი?..—დაიწყო ვანუამ, მაგრამ არტუამ არ დააცალა, სტაცა მხრებში ხელი, მთელი თავისი ძალლონით დაანჯღრია და ქუჩაზე წააჩოქა.

— არტო-ჯან, შენს მზესა ვფიცავ, მე არ წამიღია! ლუღლუღებდა შეშინებული ვანუა:—გინდა, ობისკი დამარტყი! ძაღლიშვილი ვიყო, თუ იმ საათის რამე ვიცოდე!..

არტუამ ხელი გაუშვა. ზიზღით დახედა ზევიდან ოთხზე დაჩოქილ ვანუას, ფეხი ჰკრა ფერდში და წავიდა...

არტუა ბებელმა მეორე დღესვე დაიარა ყვე-

*) ნახუნაკი—ლოყაზე მოფერებით ხელის მოსმა.

ლა მყიდველები, რომლებთანაც ვანუას ნაქურდალი საათის გაყიდვა შეეძლო და სასტიკათ დაავალა, მყისვე ეცნობებიათ მისთვის, თუ ვინიცობაა ვანუა საათს მიუტანდა მათ.

დღე—დღეს მისდევდა, ღამე—ღამეს და საათი კი არსად ჩანდა. ბოლოს არტუა დაეჭვდა კიდეც, ვაი თუ ტყუილად დავაბრალე და იმ საათის ქურდი ვანუა არ არისო. საკითხის საბოლოოთ გამოსარკვევათ არტუამ გადასწყვიტა სხვა ოინისათვის მიემართა და თვით ვანუასაგან შეეტყო მოხერხებით საქმის ნამდვილი ვითარება...

—

ავლაბრის ერთ ყრუ ქუჩაზე ყველას ყურადღებას იქცევს ერთი უცნაური წარწერა:

Частрижка ѣлъ мастеръ мою голову.

ამ ჟამათ აქ სადალაქოა, ხოლო წინათ, როგორც გადარეცხილ ასოების მაგიერ ამოსული ძველი ასოები ამხელს, მესაათეს ჰქონია სახელოსნო. სწორეთ ამ ორ წარწერათა შეზავებას მოუვლენია ზემოთ მოყვანილი საარაკო განცხადება.

აი, ამ სადალაქოს უკანა ოთახში, 31 ქრისტეშობისთვის ღამეს, სუფრას უსხდენ არტუა, ვანუა, ორი მათი ამხანაგი და სამი დამკვრელი.

ახალი წლის დადგომამდე, ე. ი. შუაღამემდე ერთი საათი-და რჩებოდა და ყველანი რიგზე შეზარხოშებულნი იყვენ. თამადა არტუა ბებელი იყო. ნელი დუდუკის ღუღუნი საამურ სევდას გვრიდა ღვინისაგან ოდნავ აჩუყებულ გრძნობას და არტუა თავ-ჩ-ღუნული ისმენდა თავის საყვარელ ხმას:

— ვაი რა დავკარგე—ე... ძვირფა-ასი ლალი.. ნაღვლიანათ სჩიოდა მედოლე და დუდუკიც გულ ამოსკვნით მოსთქვამდა ძვირფასი ლალის დაკარგვას

დუდუკის უკანასკნელი ძგერა რომ დადნა ჰაერში, არტუამ თავი მაღლა აიღო, არწივივით დაელა თვალებით და ისე მაგრა დაჰკრა სუფრას მარჯვენა მუშტი, რომ ვანუა უნებურათ შეხტა შიშისაგან.

— ძმებო-ჯან, იცით რად მიყვარს მე ეგ სიმღერა?—დაიწყო მან:—ერთობის დროებას მაგონებს ხოლმე, აი დეკეტსოტპიატში რომ იყო!.. მახლას, არტუა ჯიბგირო! ამის მზესა ვფაცავ—არტუამ მარჯვენა ხელი ლოყაზე მიირტყა—ის დროება რომ ნახევარ წელიწადს კიდევ ისე დარჩომილიყო, არტუა დღეს კაცი იქნებოდა და ვანუას გვერდით არ იჯდებოდა... ეეჰ! წავიდა, დაიკარგა! ვაი რა დავკარგე-ე, ძვირფასი ლა-ალი...

— დაიწყო, რაღა, ბებელმა!—გააწყვეტინა ვანუამ.

არტუამ ხელში სავსე ჭიქა აიღო:

— ეს იცით, რა იყოს? ეს ღმერთმა ადღეგრძელოს ის ურია, რომელმაც რომ ურიამ „კაპიტალი“ რამე დასწერა... სთქვა თუ: ოხრებო ყველა ქვეყნისა, შაერთდით და!..

არტუამ გადაჰხედა ამხანაგებს და რაკი დაინახა, რომ მისი სიტყვა ვერავინ გაიგო, წარბები შეჰყარა და დაუმატა:

მეც გელაპარაკებით, რაღა! თქვენ რა უნდა გაიგოთ, კაპუსტას მიგიგავთ თავები!.. ხეთქეთ, რაღა, სახე—ძაღლებო!—და გადაჰკრა.

— ვა, ურიის სადღეგრძელო არ დავლიო ამ ახალ წელიწად დღეს, აზირ ქრისტიანისა სთქვა და!—შენიშნა ვანუამ.

— ვანო-ჯან, მოდი—მე და შენ წმინდა ბასილი ვადღეგრძელოთ: ახალი წელიწადი ხომ იმისი დღეა?—ჩაერია ერთი ამხანაგთაგანი.

— აი, ეგ კარგია!—ამას დავლევ!—დაეთანხმა ვანუა:—ეს ღმერთმა ადღეგრძელოს წმინდა ბასილი, რომელიცა რომა ქრისტიანია და ღმერთმა დასწყევლოს ყველა ურია და ურჯულო!..

წმინდა ბასილის ხსენებაზე არტუა გამოცოცხლდა და თვალებში ეშმაკური ნაპერწკალი ჩაეკვესა. გაიხედა დამკვრელებისკენ და რაღაც ანიშნა.

დამკვრელები წამოდგნენ და წასვლა დააპირეს. მოქეიფეთა თხოვნამ არ გასჭრა, დამკვრელებმა აღარ მოუცადეს და წავიდნენ.

არტუამ ერთი სადღეგრძელო კიდევ დალია, შემდეგ ადგა და წინა ოთახში გამოვიდა. მას ორი ამხანაგიც უკან გამოჰყვა და სუფრასთან მარტო ნახევრათ მთვრალი ვანუა დარჩა.

— შავიდე?—ჩურჩულით ჰკითხა არტუამ ამხანაგებს.

— შადი, შადი! ჩურჩულითვე უპასუხეს მათ.

მაშინ არტუამ სწრაფათ გადაიცვა წინათვე დამზადილი ანაფორასაებ გაკერილი ზეწარი, მიიკრა გრძელი თეთრი წვერ-ულვაში, თავზე თეთრი ტილო მოიხვია და კარი შეაღო.

— არტო-ჯან, მიიშველე!..—მოისმა ვანუას საზარელი ბღავილი.

— ნუ ღრიალებ! ძალზე დაბოხებულითა და ყრუ ხმით უბრძანა არტუამ: მიცანი, ვინცა ვარ?

— ვე... ვევ... ვერა!

— მე წმინდა ვასილი ვარ!

— მმმ... მერე რრა... გინდა... ჩჩ...

— შენ ჩემ სეხნიას საათი მოჰპარე!

— ვა, ვინ სეხნიას! მე... მე... არა ვიცი-რა, რას ამბობ!

— წადი ეხლავე და ვასო აბაშიძის საათი აქ მოიტანე...

— ვა, კარგი, კარგი, ალაჯან! შენმა მხემ, მე არ ვიცოდი თუ ის... აბაშიძე შენი სეხნია იყო, თორემ...—ლუღლუღებდა გონება არეული ვანუა.

— მოიტანე და არტუას ჩააბარე!

— კარგი, კარგი, ალაჯან, ემ საათშივე აქ გავაჩენ, ოღონდ შენ მამშორდი და!

არტუა მოტრიალდა და ნელი ნაბიჯით გამოვიდა წინა ოთახში, სწრაფათ შეგზავნა ამხანაგები ვანუასთან, თვალის დახამხამებაში გაიხადა ზეწარი და თითონაც შევიდა. ვანუას მკვდრის ფერი ედო და თვალებში შიშის ზარი ჯერაც არ გაჰქრობოდა.

— ვანუა, რა მოგსვლია?—ჰკითხეს ამხანაგებმა.

— არა უშავ-რა, ცოტა უღონოთ გავხდი... უნდა წავიდე... არტო-ჯან! მე ემ საათში დავბრუნდები... არსად წახვიდე... შენთან საქმე მაქვს!..

ვანუას წასვლა და იქ დარჩენილთა გიჟური ხარხარი ერთი იყო...

—

ახალ წელიწად დილით, ასე 11 საათი იქნებოდა, ვასო აბაშიძის ოთახის კარებთან ლაზათიანათ შეჭიკჭიკებული არტუა ბებელი იდგა, ცალ ხელშ ღვინიანი ბოთლებით სავსე კალათი ეჭირა, მეორეს კი კარებს ურახუნებდა:

— გასპადინ აბაშიძე! გასპადინ აბაშიძე! ხრისტოს ვასკრეს, სნოვიმ გოდომ! ატკროი, მი ვამ მალენკი გასტინცუ პრინესლი-და! სევოდნი ვაშ მენენიცა... ატკროი ატო უიდომ, ეი ბოღუ!

— ვინ ტუტუცია ამ დილა ადრიან რომ კარებს მიმტვრევს?—მოისმა ოთახიდან გაბრაზებული ვასო აბაშიძის ნამძინარევი ხმა:—მოაწექი, რაღა, შე ოჯახქორო, კარი ღიაა და!

არტუამ შეაღო კარი და ბარბაცით შევიდა ოთახში.

— ვასო-ჯან, იცი რა მომიტანია შენთვის? იცი რა მომიტანია? არა, შენ არ იცი, ჩემმა მზემ... არ იცი მეთქი და!

— ვინა ხარ, კაცო? არაფერი არ მინდა შენი, წადი მომშორდი, ერთი დავიძინო.

— ფიეე! არაფერი არ მინდაო? მე ვიცი, არც ეს გინდა. არა, ჯერ არ გაჩკენებ.

არ ვაჩვენებ აბაშიძეეს,
თითოონ ნახოს—ამაში ძეევს!

ლექსათ ჩაუღიღინა არტუამ:—როგორია, ჰა? კარგი შაირი გითხარი, განა?—და არტუამ ნელ-ნელა ამოაძვრინა კალათიდან ძეწკვით ვასო აბაშიძის საათი.

ვასომ თვალები მოიფშვნიტა, თითქო მოჩვენებას ხედავსო, მიაჩერდა საათს და გახარებულმა წამოიძახა.

— ვა, ჩემი საათი! შენ სად გქონდა, კაცო?

— მაშ ვის უნდა ჰქონოდა,ა? ჩესტ იმეა ბ პრედსტავლიატსა: არტუა ჯიბგირი.

— მაშ, შენ მოგიპარავს?—ჰკითხა გაშტერებულმა ვასომ.

— მაშ არა და, მირავოი სუდია მოგპარავდა!.. წაიღე, რაღა!..

ერთი საათის შემდეგ საღამური პერანგის ამარა ვასო და არტუა ბებელი ბოთლებით გარაზმულ რგვალ სტოლს უსხდენ და ტკბილათ ჭიკჭიკობდენ.

— არტო-ჯან, იცი, რა ძნელი ყოფილა უსაათობა?—ეუბნებოდა შეწითლებული ვასო:—ყველგან ვაგვიანებდი, სადილებზე, რეპეტიციებზე... რეპეტიციებს შენი ჭირი წაუღია, ორჯერ „პაკრიშკაზედაც“ დავიგვიანე.

— რაზეო? პაკრიშკაზეო? შენ რა ფრანცუულათ მელაპარაკები?

— პაკრიშკა არ იცი, არტო? აი ლოტოს რო თამაშობენ, კლუბებში. ჰო, მართლა, მე კიდეც დამავიწყდა, რომ იქ პატიოსან ჯიბგირებს არ უშვებენ...

თაგუნა.



კორესკონდენტი.

„კუნტრუცა მიყრუებული სოფელია, აქ საქონლის ჭირი გაჩნდა. ბიბლიოთეკა არ გვაქვს. ეს საქმეს აჭირვებს“.

ეს პატარა შენიშვნა დაისტამბა ერთ ყოველ დღიურ გაზეთში, ამ რამდენიმე თვის წინეთ, ხოლო დამწერმა ბოლოზე თავისი გვარი სავსებით მოაწერა. შენიშვნა, როგორც ხედავთ, პუბლიცისტური არ არის, პოეზიისაც არა სცხია რა, მარა რაკი ის სტამბის ჭახრაკებში გატარდა—დაისტამბა—და ქვეყანას მოეფინა, და,—რადგანაც ყოველ დამწერს, რისიც უნდა იყვეს ის, ავტორი ეწოდება, ამ შენიშვნის დამწერიც რა თქმა უნდა „გაავტორდა“ და ეს ხომ დღეს დიდი თიბაუთია ზოგიერთებისათვის. „ავტორის სიხარულს საზღვარი აღარ ქონდა, როცა მან გაზეთში საკუთარ კალამის ნაწარმოების ქვემოდან თავისი გვარი სავსებით ამოიკითხა,—„ხრიკაძეო“, პირველად ის ამ ბედნიერებას თვალს არ უჯეროდა და მთელი ორი კვირის განმავლობაში დღე ისე არ გავიდოდა, რომ გაზეთის ეს ნომერი ორჯერ, მაინც, არ ამოეღო ჯიბიდან და თავისი გვარი არ ამოეკითხა. ჯიბით ტარებამ ეს ნომერი ერთობ შელახა, მარა ჩვენი ხრიკაძე კუნტრუცელ ნაცნობ მეგობრებში მაინც თამამად ამოიღებდა სანახევროდ ნაფლეთებათ ქცეულ გაზეთს და, რომ ვისმე ყურადღება მიექცია, ზედ დაუცქერდებოდა. ამ დროს ისე ჩაფიქრდებოდა, რომ გეგონებოდათ ქვეყნიერების ღერძი ხრიკაძეს უგდია ხელში და ახლა იმაზედ ფიქრობს, თუ საით მიატრიალოს ის, რომ ამით კაცობრიობის ბედ-იღბალი შეარყა-შემოარყიოსო. სახე დაღვრემილი, ცალი ხელი თავზე ქვემოდან შებჯენილი, ხოლო მეორე მაგიდაზე გაშლილ გაზეთის ნაფლეთებზე დადებული, თავის ხშირი გადარყევ-გადმორყევა, რასაკვირველია საზოგადოების ზოგიერთა გულუბრყვილო წევრის უყურადღებოდ არ დარჩებოდა. და თუ ამ დროს ვინმე „ავტორს“ ამ „ღრმა ფიქრების“ მიზეზს შეეკითხებოდა, ის დინჯათ უპასუხებდა: „ჩვენი მწერლობა წინ მიდისო“. ამის დასასაბუთებლად გაზეთში სწორედ იმ ადგილზე ანიშნებდა, სადაც იმისი გვარი „ხრიკაძე“ მეტის მეტი თითის გასმით, თუმცა გადაშლილიყო, მარა მაინც ამოიკითხებოდა.

ანა-ბანას მცოდნეც კი არ დარჩენილა კუნტრუცაში რომ ხრიკაძის გაავტორება, თუ პირდაპირ, თუ განიდან არ გაეგოს. გულწრფელობით იყო, თუ გულის სიბრუდით, მას ყოველის მხრით უქებდენ ამ „გახარისხიანების“. ტყვილად კი არ არის ნათქვამი,—ქვეყნის შეძახება ხეს კიდევაც გაახმობს და კიდევაც გაანედლებსო. ამ ქვეყნის შებახებამ ხრიკაძე ისე წაათამამა, რომ ცოტა ხნის შემდეგ თავი მართლა მწერალი ეგონა. და რომ ამ შინაგან ცვლილებასთან გარეგანიც შეეხამებია, წვერი სხვანაირად დაიყენა, თმა დაიგრძელა, ცხვირზე სათვალე წამოიკუნკურეხა და იმის ზემოდან გადმოიხედა. ლაპარაკი ნელი, სიარული დინჯი, მიხრა-მოხრა ზანტი, იღლიაში წიგნი, ან გაზეთი, ერთი სიტყვით საამდროვო „მწერლის“ შინაგან გარეგანი თვისებით და კუთვნილებით აღჭურვა კაკალი კაცი. მოდი და ნუ აღროკინდები! განა ხუმრობაა კაცმა გაზეთში დაბეჭდილი თავისი გვარი ქვეყანას წასაკითხად გადუშალოს? მარა წარმოიდგინეთ ხრიკაძის განცვიფრება, როცა მან გაიგო რომ მისს გულითად ნაცნობ მეგობრებშიდაც აღმოჩნდენ ისეთი „ჩამორჩენილები“, რომელთაც კუნტრუცაის შენიშვნა არ წაუკითხავს. და ეს გამოირკვა მაშინ, როცა ერთ მშვენიერ დღეს, ხრიკაძე ქალაქად ჩამოვიდა და ერთ საღამოს გულითად მეგობარს ესტუმრა.

— გაზეთს კითხულობ? ეს იყო ჩვეულებრივი მისალმების შემდეგი ხრიკების პირველი კითხვა.

— როგორ არა. უპასუხა მასპინძელმა.

— ამ მოკლე ხანში რა უფრო საგულისხმიერო წაიკითხე?

— ერენტალის საგარეო პოლიტიკა.

— არა ადგილობრივია.

— ნიკოლაძის საფუთო კაპეიკები.

— კიდევ უფრო ახლო მოიწი.

— ადგილობრივი „დუმის“ დადგენილება ფეხშიშველ მუშათა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

— კაცო, ნუ თუ მეტი არა წაგიკითხავს რა ისეთი, რომ შენი ყურადღება უფრო მიექცია?

— შეიძლება წვრილმანები რამე წამეკითხოს, მარა ახლა აღარ მახსოვს.

— წვრილმანები კი არა, სხვილმანები.

— არა.

— მაშ, როგორც გატყობ შენ ჩემი ნაწარმოები არ წაგიკითხავს? გულ ნატკენად შეეკითხა ის მოსაუბრეს და ჯიბიდან გაზეთის დაფარატინებული ნომერი ამოიღო, რომელსაც ავგაროზივით თან ატარებდა, გადაშალა და თითი იქ დაუდო

[illegible]

მასპინძელმა წაიკითხა, გაიღიმა და, რომ სტუმარი არ შეურაცხეყო, თავაზიანად უთხრა: ადამიანი ცოდვილია, რა ვქნა, ალბად ეს ნომერი გამომპარვია და შენი წერილიც ვერ წავიკითხე.

— და მერე ეს გეპატივება? კაცი შრომობდეს, სწერდეს და იმას არ კითხულობდენ. ამ ნაირი უმადურობით ხომ ყოველ მწერალს უკარგავთ ხალისს! უთხრა ეს და გულმოსულმა ოთახის კარი გარედან მიიხურა: მასძინძელს ეს ჯერ ხუმრობა ეგონა. ის აბა, როგორ წარმოიდგენდა, რომ ასეთი უბრალო მიზეზით სტუმარი განრისხდებოდა და წავიდოდა.

ხრიკაძე აღარ დაბრუნდა.

თუ საით წავიდა სტუმარი, დილამდის ამის გაგება მასპინძელს აღარ შეეძლო. გათენდა დილაც მასპინძელი ფიქრობს, რომ გულმობრუნებული ხრიკაძე შემოვა, მაგრამ ამაოდ. მხოლოდ მასამე დღეს ადგილობრივი გაზეთის ახალ ამბავში ამოიკითხა მან: „საავადმყოფოს ამა და ამ ოთახში მოთავსებულია სულით ავადმყოფი ხრიკაძე“ო. ელდა ნაცემი, ის მაშინვე გაექანა საავადმყოფოში, სადაც მეკარეებმა უთხრეს, რომ ავადმყოფი ახლა ბურვანად მივარდნილია და ნახვა მისი არ შეიძლებაო; ექიმების აზრით სიყვარულის ნიადაგზეა მისი შერყევა, რაღგანაც სულ, რაღაც წერილს ახსენებსო. ასეა თუ ისე, ის ფაქტი იყო, რომ ხრიკაძე შეირყა.

ა. ბლიკვაძე

სცენა ჟურნალ-გაზეთების კიოსკში.

ფოთი

მკითხველი—მომეცით ჩემი ,,სახ. ფურცელი''.

მეგაზეთე—არ მოსულა ბატონო!

მკითხველი—კაცო თუ სხვა გაზეთები კი თავის დროზე მოდის ,,სახ. ფურცელმა'' რაღა დააშავა რომ ყოველთვის ასეა? ბარემ თქვით მარტო დემოკრატების გაზეთს ვავრცელებ და სხვას კი არა თქვა.

მეგაზეთე—შენ, ჩემო ძამია, არ იცი და ისე მასხამ დამწვარზე მდულარეს, უკეთესია თავი დაანებ[illegible] [illegible] ოა წახიიოი ეჭიდან.

მკითხველი—რა მდულარე უნდა, აგი მართალია თქვენი ერთჯერაც რომ დაგვიანდეს ქვეყანას შესძრავთ და ჩვენი ფეხებზე გკიდია

მეგაზეთე—(ბრაზმორეული) გამშორდი აქედან გამეცალე, ჩემი ცეცხლი მეყოფა მეთქინ სანამ სამაგიეროს მიიღებდე.

მკითხველი—გაგშორდები აბა შეშლილთან რავა მევიცდი თუ მართალი გითხრა კაცმა გადაირევი...

მეგაზეთე—(აწყვეტინებს)—მომშორდი შენი სიმართლე და შენი სულელი თავი წაიღე გარეთ მთელათ (მიიწევს)

მკითხველი—მოგშორდები მარა გავიგებ იმასაც, ფულს მახთიებენ გაზეთს არ მაძლევენ და კიდევ გალახვას მემუქრებიან და მლანძღავენ (მიდის ბუზღუნით გარეთ)

მეგაზეთე—ახლა რა უნდა ვქნა? ვინცხას ან მივკლავ ან თავს მოვაკლიებ! ჩემი ნამუშევარი დარჩენილ გაზეთის ზარალს არ ყოფნის და ბრალს კიდევ მე მდებენ, მოდი და ელაპარაკე ასეთ სულელებს. (გაჩქარებით დადის წინ და უკან).

მეორე მკითხველი—(მკვახეთ) მომეცი ჩემი „აზრი“.

მეგაზეთე—(ერთს შეხედავს და არ უპასუხებს)

მკითხველი—მოიტათ, მომეცით ,,აზრი''

მეგაზეთე—აზრი და თვალი ღმერთს რომ არ მოუცია მე საიდან მოგცე, რავა ვერ ხედავ თუა გაზეთი?!

მკითხველი—(ნიშნის მოგებით) რაფერ იქნება კუტავ! ფული არ გექნება გაგზავნილი და მანამდულა აღარ აგზავნიან ახლა.

მეგაზეთე—(ცოფ-მორეული) რაო? რა თქვი? ფული არ მექნება გაგზავნილი? მივარდება უჯრასთან, ამოიღებს რაღაც კვიტანციებს, მიაშურებს მკითხველს და თვალებში აჩრის—წაიკითხე, წაიკითხე, მეთქინ. (ყვირილზე სხვებიც მოდიან და კითხულობენ), „Тифлисъ Олгинская 6. 100 руб. „Зак. Рѣчь“ 80 р. „Сах. Пур.“ 100 руб. არ გამიგზავნია? აბა რა არის აგი შენ პრავაკატორო შენ უნდა მიჩიოდე ამას? ორი თვის გაზეთის ფული არ მოგიცემია და კიდევ პრავაკაციას მიკეთებ აქანაი?? ან წეიღე უკან შენი ცილის წამება და ან უნდა გავსწორდეთ, გამოდი თუ კაცი ხარ (იძრობს ქვაქვანაკს).

მკითხველი—თუ კაცმა ენა შეგიბრუნა შეიშლები, შენთან არც ღირს ლაპარაკი: ბრუნდს და მართალს ყველას დველში იწვევ ვითამ ტარსელი

იყო, მარა რა გასაკვირია მდგომარეობა ქმნის იდეიას, აქანაი რომ ჩამოდი ფარგასავით იყავი და ახლა სიპა რომ გადმეიბრუნე „დველის“ ხასიათზე დადექი, მარა ვიკითხავ სადაც „ადგილია“ ამასაც. (მიდის გარეთ).

მეორე დღეს.

(**ჩინოვნიკი და თანაშემწე**) ჩი-კი—дайте „З. Рѣчь“.

მეგაზეთე—დვა ნომერ მესტო გასპოდინ ბარინ

ჩი-კი—Давай послѣдній номеръ.

მეგაზეთე—ნემოჟნა ვაში ბლაღოროდია.

ჩი-კი—Я тебѣ покажу „неможна“ (იღებს გაზეთს და აგდებს შაურიანს)

მეგაზეთე—(გაბრაზებით)—შტო პაკაჟი პაკაჟი მარა მოი გაზეთ მოი პრავა მოი დელა ლუჩი ჩუჟოი ზნაი. დვა დნია გაზეთ მესტე პრიეხალ მესტე პრადაიომ კტო ხოჩით ხოჩით ნეხოჩით ადელნი ნემოჟნო.

თანაშემწე—ჩეიწყვიტე ბიჭო მაგი ენა! ვისთან ბედავს აგი ტუტუცი! მოშორდი აქედან დაიკარგე.

მეგაზეთე—(ნახევრათ შეშლილი)—შენ ვინღა ხარ? რაში გეკითხება ჩემი საქმე! ნუთუ არ მეყოფა ვინც მიწყრება და შენი მიხმარება სჭირია, შენი ხელქვეითი ხომ არ გგონივარ?

თა-წე (აწყვეტინებს) დაიკარგე, მოშორდი მეთქინ თავიდან (მიიწევს მეგაზეთეზე).

მეგაზეთე—(გაალმასებით) ბიჯსაც არ გადავსდგამ ინებეთ რაც გნებვიდეს მე არ მეშინია... შენი ყვირილის ქურდებს და ავაზაკებს ეშინია მე კი თავისუფალი მოქალაქე ჩემი მარჯვენით მშრომელი გახლავარ. ოფლით, ოფლით სოველ ალალ ლუკმას ვჭამ გესმის! პარაზიტი წურბელი არ ვარ, არავის უბედურობაზე არ ვაშენებ ჩემს ბედნიერებას, არ მეშინია.

თა-წე—(უხერხულობაში) Вотъ нахалъ.

ჩი-კი—Отставьте не стоитъ (მიდიან).

(ხმაურობაზე ხალხი მოგროვდა)

მაყურებელი—შე კაცო ყოლიკაცი ერთი კი არ არის—აგინი რომ არ შეგარჩენენ ხომ იცი რატომ ქენი?

მეგაზეთე—კატორღაშიც გამგზავნონ ოღონდ ჩემი სინდისის წინაშე ვიყვე მართალი, უმუშევრებს ორ ნომრებს ვაძლევ და ჩინოვნიკებს ერთი მივყიდო? ამას არ ჩავიდენ არა.

მაყურებელი—კაცო! რატომ ჯრის რომ მუდამ იგვიანებს აგი გაზეთები? გამაგებინე ერთი ვისი ბრალია ამდენი დავიდარაბა?

მეგაზეთე—ვაი ბრალმა დასცა ვინცხაის ბრალი აგია, აბა რამ შემშალა კაცო, მკითხველები მართალი არ არიან ვითომ? რედაქციები და კანტორები, გამოგზავნის ხარჯები რომ შეამოკლონ **ფოფის გაზეთებს სამტრედიაში აგზავნიან** და სამტრედიელმა აგენტმა თუ ნახა ვინმე ფოთში მომავალი ქე გამოატანს, თვარა ქე აგდია იქინეი და მე კი ათას ცილის წამებას და უმართლო ლანძღვა გინებას მაყენებენ. ხშირათ ეს „ნარუკათ“ გამოგზავნილი გაზეთები კიდევაც იკარგვის.

მაყურებელი—არ შეიძლება რომ პირდაპირ ფოთში გამოიგზავნოს გაზეთები? აგი მკითხველებმრომ შეიტყოს ფხარს დაგიჭერენ.

მეგაზეთე—კი შეიძლება ძმაო და სარგებელა შიაც იქნება რედაქციები. 5 მანეთ ხარჯს ემალვიან და 50 მანეთის გაზეთები რჩება გაუყიდავი ამის მიზეზით, მარა ქართული „ბუხგალტერია“ ამ გვარია და რა გაეწყობა.

ბუტუნა



დეპეშები.

ფ ო თ ი

ქალაქის აფთექის გაფიცული მოსამსახურეები დაიბარა ბ-ნმა ტყემალაძემ და „ალაიაში“ გაატარა მარტო იმიტომ რომ მოსამსახურეებიდან წარდგენილ ეკონომიურ მოთხოვნილებას როგორ გაბედეთ ჯ მოთხოვნილება დააწერეთ და არა თხოვნაო. ურჩია გაფიცულებს „ბოდიშით“ უკან წაელოთ ეს „ქუჩური выраженіе“ და თავიანთ ადგილებზე დაბრუნებულიყვენ სამუშაოთ, მარა ჯიუტმა გაფიცულებმა მოისმინეს რა მოურავის დარიგება მორიგ კითხვებზე გადასვლა სცნეს საჭიროთ და არა ბოდიშის მოხდა.

გამგეობის საჩქარო კრებაზე გამოითქვა გაფიცულების საწინააღმდეგო აზრები და აფთექის იჯარის გაცემის სურვილი, საქმე გადაიდვა.

აფთექაში რამდენიმე დღეა მარტო გამგე მუშაობს დღიან ღამიანა დაუსვენებლივ მარა რეცეპტების მომზადება დღეობით გვიანდება, გაფიცულები სამართლიანად თვლიან თავიანთ მოთხოვნილებას და მიუხედავათ მრავალი მუქარისა ჯერ „შახათ“ არიან.

იქიდანვე—წესიერების დამცველები „მოვალეობის“ ასრულებაზე ერთი მეორეს შეეცილენ (გარადავოი და დრუჟინისტი) გაჩაღდა სროლა და ხმლების ფრიალი. რადგან ხალხი სროლის შიშით დიდხანს აქა-იქ მიიმალენ ვინ გაიმარჯვა ვერ გავიგეთ ბრძოლის დროს მსხვერპლი არ ყოფილა—სისხლი კი.

იქიდანვე—ჩვენდა მოულოდნელად და სასიხარულოთ უპრავამ თავის მაღაზია და ფურნე დაუთმო კოოპერატივს წლიურათ 800 მანეთად და ამ თანხის პაიც შეიძინოს უნდა კოოპერატივიდან, რაც დიდათ სასარგებლო კვალს დაჩენს კოოპერატივის არსებობას და გამგეობის არა ჩვეულებრივ მოღვაწეობასაც, მარა ეს მოულოდნელი სამართლიანი ნაბიჯი ვერ მოითმინა ზოგიერთმა ხმოსნებმა და როგორც გავიგეთ დადგენილების გასაჩივრებას აპირობენ თურმე ჯაჭარ ხმოსნ გოგონავს და ლომაძის მეთაურობით. ამ უბადრუკებს ალბათ არ გაუკიათ რომ მთავრობა თვითონ ეხმარება კოოპერატივებს ამ საშინელ ხანაში, რა გასაკვირია ვაჭრებს კოოპერატივების გაძლიერება და მოშენება როგორც ამბობენ არ ეხერხებათ.

ბუტ. სააგენტო

„ეშმაკის მათრახის“ მკითხველებს

რადგანაც გამოცემა მეტის მეტად გაძვირდა, გამომცემლობა იძულებულია ჟურნალის ფასს 2 კაპ. მხუმატოს. ე. ი. დღეიდან ვიდრე მდგომარეობა შეიცვლება 10 კ. მაგიერ ეღირება № 12 კაპ.

პატივისცემით გამომცემლობა

[illegible] ... ... [illegible] სტამბა ამხ. „შრომა“ რედაქტორ-გამომც. **თეოფილე ბოლქვაძე.**